



საქართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო
**GEORGIA MARNEULI MUNICIPALITY REPRESENTATIVE
 BODY**



მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ო კ მ ი N12

ქ. მარნეული

12.07.2017 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს წევრები: - ნაბი აბდულაევი, ვალერი მეტრეველი, ამირან გიორგაძე, ნიკოლოზ გოგოჭური, კოტე ბოჭორძე, ირაკლი ბურნაძე, რიჩარდ გიგანი, აბიდ ოსმანოვი, ვალი ისმაილოვი, აიდა ხაჩიკიანი, არსენ ახვერდიანი, მამედ მამედოვი, მაილ მიქიევი, გივი ქველაძე, ბესიკ გუჯეჯიანი, სადრადინ ტალიბოვი, რაფიკ მუსაევი, ქამილ ალიევი, ისმაილ ბაირამოვი, რამიზ გიულმამედოვი, ლევონ აკოპიანი, ჯომგუნ ზეინალოვი, რაგიმ ასკეროვი, რუსტამ ფაშაევი, სულეიმან ხალილოვი .

არ ესწრებოდა:

- ვანო ბურნაძე, გიორგი შუკაკიძე, ლერი მუმლაძე, ზურაბ ჭონიაშვილი, მახირ იუსუბოვი, ელხან მუფტიევი, რაფიკ ჯაფაროვი, აგილ ფაშაევი.

სხდომას ესწრებოდა

- მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელი მერაბ თოფჩიშვილი, გამგებლის პირველი მოადგილე ზაურ ტაბატაძე, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი ნინო ბერიძე, საორგანიზაციო განყოფილების უფროსი რუსუდან გადეღია, ა.ა.ი.პ. „სკოლამდელი აღზრდის ცენტრი“-ს დირექტორი ზაურ კარიმოვი, „ბავშვი, ოჯახი, საზოგადოება“-ს პროექტის დირექტორი შოთა მალლაკელიძე, და პროექტის მენეჯერი თამარ გოგიჩაშვილი.

პრესისა და ტელევიზიის წარმომადგენლები: „TV-მარნეული“-ს წარმომადგენლები.

განსახილველი საკითხების დღის წესრიგი:

1. მარნეულის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 10 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.
2. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 6 ივლისის N03/8137 წერილის განხილვის შესახებ.
3. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 6 ივლისის N03/8138 წერილის განხილვის შესახებ.

4. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 7 ივლისის N03/8178 წერილის განხილვის შესახებ.
5. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 7 ივლისის N03/8179 წერილის განხილვის შესახებ.
6. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 11 ივლისის N03/8258 წერილის განხილვის შესახებ.
7. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 11 ივლისის N03/8259 წერილის განხილვის შესახებ.
8. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 11 ივლისის N03/8257 წერილის განხილვის შესახებ.
9. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 20 ივნისის N03/7158 წერილის განხილვის შესახებ.
10. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 11 ივლისის N03/8255 წერილის განხილვის შესახებ.
11. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 11 ივლისის N03/8256 წერილის განხილვის შესახებ.
12. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 4 ივლისის N03/7978 წერილის განხილვის შესახებ.
13. სოფელ თამარისში მცხოვრები მოსახლეობის კოლექტიური განცხადების განხილვის შესახებ.

განხილული საკითხები და მიღებული გადაწყვეტილებები:

1. დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ და საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ვუგარ მამედოვმა საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა მარნეულის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტში შესატანი ცვლილების პროექტი.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია დადგენილება N23. 29.06.2017 წ)

2. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 6 ივლისის N03/8137 წერილით შემოსული შ.პ.ს. „მარნეულის სოფწყალი“-ს 2017 წლის კორექტირებული ბიუჯეტი და სამტატო განრიგი, რის გამოც იზრდება სუბსიდია 32,8 ათასი ლარით. საკრებულოს წევრებმა გამოთქვეს აზრი მოხდეს საწარმოს ანგარიშის მოსმენა და ამის შემდეგ საკითხის განხილვა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება, რასაც საკრებულოს წევრები დაეთანხმნენ და საკრებულოს აპარატს დაევალა მოამზადოს ა.ა.ი.პ.-ებისა და შ.პ.ს.-ების მოსმენის გრაფიკი, ხოლო საკითხი გადაიდო მომდევნო სხდომისათვის.

3. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 6 ივლისის N03/8138 წერილით წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით, სთხოვა თანხმობა რათა დამტკიცდეს შ.პ.ს. „მარნეულის მუნიციპალიტეტის ავტოპარკი“-ს 2017 წლის კორექტირებული ხარჯთაღრიცხვა და სამტატო განრიგი არსებული სუბსიდიის ფარგლებში.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N55. 29.06.2017 წ).

4. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეოთხე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 7 ივლისის N03/8178 წერილით წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით, სთხოვა თანხმობა რათა დამტკიცდეს ა.ა.ი.პ. „სუფთა მარნეული“-ს 2017 წლის კორექტირებული ხარჯთაღრიცხვა და სამტატო განრიგი იმის გათვალისწინებით, რომ გაიზარდა სამუშაოების მოცულობა და დაემატა დაშტაფა-კირიხლო, ახკულა-წერაქვი და მაგისტრალის ბაიდარი-კესალოს და საბირკენდი-აზიზკენტის მონაკვეთი, საჭირო გახდა სუბსიდიის 54 ათასი ლარით გაზრდა და შტატების დამატება: სპეცავტომანქანების მძღლის -2 და მტვირთავი მუშის - 6 სამტატო ერთეული. საკრებულოს წევრებმა გამოთქვეს აზრი მოხდეს საწარმოს ანგარიშის მოსმენა და ამის შემდეგ საკითხის განხილვა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება, რასაც საკრებულოს წევრები დაეთანხმნენ და საკითხი გადაიდო მომდევნო სხდომისათვის.

5. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეხუთე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 7 ივლისის N03/8179 წერილით წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით, სთხოვა თანხმობა რათა დამტკიცდეს ა.ა.ი.პ. „სპორტული სკოლა“-ს 2017 წლის კორექტირებული ხარჯთაღრიცხვა და სამტატო განრიგირაც გამოწვეულის იმით, რომ ხდება შიდა ცვლილება: აკლდება 2160 ლარი თანამდებობრივ სარგოს, 10 ათასი ლარი პრემიის ფონდს, 2 340 ლარი სხვა ხარჯების მუხლს და აღნიშნული გამონთავისუფლებული თანხებიდან 4 000 ლარი ემატება მივლინების, 4 500 ლარი ოფისის ხარჯების, 6 000 ლარი რბილი ინვენტარის და უნიფორმების ხარჯების მუხლს. ასევე ითხოვენ სუბსიდიის გაზრდას 20 000 ლარით საბავშვო ძიუდოსა ტატამის კომპლექტისა და წვრთნის პროცესისათვის აუცილებელი ინვენტარის შესაძენად. საკრებულოს წევრებმა გამოთქვეს აზრი მოხდეს საწარმოს ანგარიშის მოსმენა და ამის შემდეგ საკითხის განხილვა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება, რასაც საკრებულოს წევრები დაეთანხმნენ და საკითხი გადაიდო მომდევნო სხდომისათვის.

6. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეექვსე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 11 ივლისის N03/8258 წერილით წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით, სთხოვა თანხმობა რათა დამტკიცდეს შ.პ.ს. „ორგანული ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმო“-ს 2017 წლის კორექტირებული ხარჯთაღრიცხვა და სამტატო განრიგი, რაც გამოწვეულის იმით, რომ ემატება ორი თანამშრომელი და ითხოვენ სუბსიდიიდ დამატებას 10 ათასი ლარის ოდენობით. საკრებულოს წევრებმა გამოთქვეს აზრი მოხდეს საწარმოს ანგარიშის მოსმენა და ამის შემდეგ საკითხის განხილვა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება, რასაც საკრებულოს წევრები დაეთანხმნენ და საკითხი გადაიდო მომდევნო სხდომისათვის.

7. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეშვიდე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 11 ივლისის N03/8259 წერილით წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით, სთხოვა თანხმობა რათა დამტკიცდეს მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საშტატო ნუსხა.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია დადგენილება N24. 29.06.2017 წ).

8. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მერვე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 11 ივლისის N03/8257 წერილით წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით, საკრებულოს წევრებს სთხოვა თანხმობა რათა შევიდეს ცვლილება სწავლების გეგმაში და ფინანსები მიმართული იქნეს მუნიციპალიტეტისათვის შედარებით პრიორიტეტულ მოდულებზე.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N56. 29.06.2017 წ).

9. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეცხრე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის განვითარების კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 20 ივნისის N03/7158 წერილით წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით, სთხოვა მხარდაჭერა, რათა მოწონებული იქნეს წინადადება შულავერის მიმდებარე ტერიტორიაზე ე.წ. „შულავერის აგარაკები“ დასახლების შექმნისა და მისთვის შესაბამისი კატეგორიის – სოფლის სტატუსის მინიჭების შესახებ, რასაც საკრებულოს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება, „დასახლებათა შექმნის და გაუქმების, დასახლებისათვის შესაბამისი კატეგორიის მინიჭებისა და შეცვლის, აგრეთვე დასახლების ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 ივლისის N307 დადგენილების მე-5 მუხლის მე-6 პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად შემდგომი რეაგირებისათვის გადაიგზავნოს გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, რეგისტრაციის, აღრიცხვისა და დაცვის სამთავრობო კომისიას.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N59. 29.06.2017 წ).

10. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეათე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 11 ივლისის N03/8255 წერილით წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით, საკრებულოს წევრებს სთხოვა თანხმობა რათა დამტკიცდეს ა.ა.ი.პ. „სკოლამდელი აღზრდის ცენტრი“-ს 2017 წლის კორექტირებული ხარჯთაღრიცხვა და საშტატო განრიგი არსებული სუბსიდიის ფარგლებში.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N58. 29.06.2017 წ).

11. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეთერთმეტე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 11 ივლისის N03/8256 წერილით წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით, საკრებულოს წევრებს სთხოვა თანხმობა რათა მოწონებული იქნეს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი მარნეულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის მიერ შერჩეული პროექტი მარნეულის მუნიციპალიტეტში სასწრაფო სამედიცინო დახმარების რაიონული ცენტრის ოფისის მშენებლობის შესახებ

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N54. 29.06.2017 წ).

12. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეცხრე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის განვითარების კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 4 ივლისის N03/7978 წერილით წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით, სთხოვა მხარდაჭერა, რათა მიეცეს თანხმობა მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელს პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით უვადოდ სარგებლობაში გადასცეს საქართველოს საპატრიარქოს მარნეულისა და ჰუჯაბის ეპარქიას ქუთლიარის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე 21 768 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N83.07.11.269) 15 040 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N57. 29.06.2017 წ).

13. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეცამეტე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „მაჟორიტარები“-ს თავმჯდომარემ, თამარისის ტერიტორიული ერთეულის მაჟორიტარმა წევრმა რიჩარდ გიგანმა საკრებულოს წევრებს მიაწოდა ინფორმაცია თამარისის ტერიტორიული ერთეულში არსებული მდგომარეობის შესახებ, რაც გამოწვეულია სარწყავი წყლის პრობლემით. გვალვის შედეგად თამარისის სამოვრები საჭიროებს მორწყვას, რისთვისაც მოსახლეობამ მოიძია შესაბამისი ტექნიკა და ითხოვენ საწვავით დახმარებას, რათა საკუთარი ძალებით შეძლონ სარწყავი არხების გაყვანა. აღნიშნულთან დაკავშირებით თამარისის მოსახლეობამ ერთობლივი განცხადებით მიმართა მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელს (განცხადების რეგ. N9508/03. 06.06.2017 წ). საკითხის აქტუალურობიდან გამომდინარე რიჩარდ გიგანმა საკრებულოს წევრებს სთხოვა მხარდაჭერა, რათა მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა უზრუნველყოს 200 ლიტრი საწვავისათვის თანხის გამოყოფა სარეზერვო ფონდიდან, რასაც საკრებულოს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნულთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოს გადაეგზავნოს საოქმო დავალება.

საკრებულოს თავმჯდომარემ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის მეთორმეტე სხდომა გამოაცხადა დახურულად.

მარნეულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე:

ნაზი აბდულაევძი